სოფლის მეურნეობის განვითარება

III ფაზა

2018 წლის 26 ნოემბერს, რეფორმეტრის III ფაზა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესრულების შეფასებით დაიწყო.

სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპისთვის რეფორმის 82,46% არის შესრულებული. 2 სამინისტროს გაერთიანების შედეგად, შეიქმნა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა და მიმდინარეობს მისი დახვეწა. მცირედი პროგრესი არის სასოფლო-მეურნეობათა რეესტრისა და ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნის პროცესში. ჯერ ისევ არ შექმნილა მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა. კოოპერატივის წევრთა/მენეჯმენტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები მიმდინარე წელს აღარ იგეგმება.

2018 წელს ინფრასტრუქტურის 27 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა და წყალ-უზრუნველყოფილმა ფართობმა 127.000 ჰა შეადგინა, რაც 7.000 ჰა ზრდას ნიშნავს. სამინისტროს მიზანი აღნიშნული მაჩვენებლის 135 000 ჰა-მდე გაზრდაა 2020 წლისთვის. ამ ეტაპისთვის დრენირებული მიწების ფართობი შეადგენს 35 900 ჰა-ს და ამ კუთხით ზრდა არ ფიქსირდება.

ჯერ ისევ შექმნის პროცესშია: თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების, მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის, წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის და საბაზრო ინფორმაციული სისტემები. ეს უკანასკნელი ფერმერთა რეესტრს დაუკავშირდება.

2018 წელს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით განხორციელდა 3 საკანონმდებლო ცვლილება, ხოლოს წლის ბოლომდე იგეგმება კიდევ 24 აქტის მიღება.



დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 5,83 დაუწერა, რაც 0,2-ით აღემატება წინა ფაზის შეფასებას. მცირედით შემცირდა განწყობა რეფორმის პროგრესის მიმართ და მან 6,07 პუნქტი შეადგინა.



დისკუსიაზე, რომელსაც დაინტერესებული მხარეები, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სხვა თანამდებობის პირები, ასევე, მოწვეული სტუმრები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ესწრებოდნენ, გაიჟღერა რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოსაზრებამ:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, მთავრობას 2015 წლიდან გააჩნია დარგის განვითარების სტრატეგია და გეგმაზომიერად ახორციელებს მას, რაც აისახა კიდეც „რეფორმეტრის“ კვლევაში. მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება შედეგების არამდგრადობა. სტრატეგია უმეტესწილად კონცენტრირებულია გრძელვადიანი აგრობიზნესის განვითარებაზე, ხოლო ვინაიდან მისი წილი ძალიან მცირეა მთლიან წარმოებაში, პროგრესი ამ მიმართულებით არ გვაძლევს საერთო სურათის მნიშვნელოვან ცვლილებას.

  ასევე, გაჟღერდა ახალი სააგენტოს შექმნის გეგმა, რომელიც გააერთიანებს პროექტების მართვისა და კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, ექსტენციის ცენტრებთან ერთად. სააგენტო ეცდება მოიზიდოს თანხები ევროკავშირის უწყებებიდან და მოახმაროს ის სახელმწიფო პროგრამებს.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის ფერმერის“ წარმომადგენლის აზრით კი, გაზრდილ პირველად წარმოებას უნდა თან ახლდეს გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეების ზრდა, რათა ფერმერებს არ დარჩეს გაუყიდავი მოსავალი.

- პროფესიონალი და ახალგაზრდა ვეტერინარების დეფიციტს გაუსვა ხაზი მეცხვარეთა ასოციაციის წარმომადგენელმა. აღნიშნულ მომსახურებას, უმეტესად, სურსათის უვნებლობის სააგენტოს თანამშრომლები ახორციელებენ, რაც არ არის მათი პირდაპირი მოვალეობა. ერთ-

ერთ გამოსავლად კი, ვეტერინარიის მიმართულებით ასოციაციების და კერძო ვეტერინარების ინსტიტუტის გაძლიერება სახელდება, რისთვისაც უნდა გამოიყოს თანხები. მან ასევე აღნიშნა, რომ მეცხოველეობის სტატისტიკა, ხშირად, აბსურდულია და შესამოწმებელია სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია.

- შეხვედრაზე ხაზი გაესვა ექსტენციის ცენტრების მუშაობის შეფასების აუცილებლობასაც, რომელიც ფერმერებამდე ცოდნის მიტანის მთავარი საშუალებაა.
- ბოლოს, სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაეროს ექსპერტი მოამზადებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შუალედურ შეფასებას. სამოქმედო გეგმა კი განახლდება და გაიწერება ახალი ინდიკატორები და მათი სამიზნე მაჩვენებლები.

რეფორმვერდიქტი - მთავრობის ერთიანი შეფასება - გაუმჯობესდა და მან 5.33 ქულა შეადგინა, თუმცა მცირედით შემცირდა მოსალოდნელი შედეგების მიმართ განწყობა.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

სამთავრობო კვლევა
Government Survey

სოფლის მეურნეობის განვითარება

2018

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

რეფორმის პროგრესი
სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020

ფაზა 2 (2017 დეკ.)



ფაზა 3 (2018 ნოე.)



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

ინსტიტუციური მოწყობა

ინსტიტუციური მოწყობა

92% ↗
პროგრესირებს

- 2 სამინისტრო გაერთიანდა
- სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება არ დასრულებულა

შედგება ორი დონისგან:

- პოლიტიკური - მინისტრი, მოადგილე
- ადმინისტრაციული მმართველობითი - დეპარტამენტი, სამმართველო

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

კომპეტენციის გაძლიერება

კომპეტენციის გაძლიერება

84.4% ↗
პროგრესირებს

- პროცესშია:
  სასოფლო მეურნეობათა რეესტრი - 60% ↗
  ვენახების ეროვნული კადასტრი - 40% ↗
- არ შექმნილა მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა →
- კოოპერატივის წევრთა/მენეჯმენტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები მიმდინარე წელს აღარ იგეგმება →

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის

1. მეფუტკრეობის მომთაბარეობის მხარდაჭერა - 0 ლ.
2. რძის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერა - 0 ლ.
3. მევენახეობის კოოპერატივების ხელშეწყობა - 2 846 550 ლ.
4. მეფუტკრეობის კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფა - 379 826 ლ.
5. მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენება - 388 719 ლ.
6. კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა - 0 ლ.

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი

79.84%↗
პროგრესირებს

- 27 სარეაბილიტაციო პროექტი - 2018 წ.
  127 000 ჰა წყალუზრუნველყოფილი - ზრდა 7 000 ჰა↗
  მიზანი: 135 000 ჰა - 2020 წ.
- დრენირებულია 35 900 ჰა - არ გაზრდილა →
- დნმ-ის საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორიის შექმნა პროცესშია - 80% →
- თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემა - 40% →
- მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემები - 80% →
- წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემები - 40% →
- საბაზრო ინფორმაციული სისტემა - 80%↗

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო

72.5% ↗
პროგრესირებს

ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით განხორციელდა 3 საკანონმდებლო ცვლილება

1. „ტექნიკური რეგლამენტი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გარდა კონტროლისათვის განსაზღვრულ სხვა ადგილზე მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების იდენტურობის შემოწმების და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის პროცედურებისა და პირობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე“

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო

72.5% ↗
პროგრესირებს

2. მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ - მთავრობის დადგენილება

3. ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან დაკავ-შირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ - მთავრობის დადგენილება

➢ წლის ბოლომდე უნდა მოხდეს სულ 24 სამართლებრივ აქტთან დაახლოება

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

რეფორმეტრი

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

ინდიკატორები

1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI აგრო)
3. საერთ. ვაჭრობა: *აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტი და სავაჭრო ბალანსი*
4. საერთ. ვაჭრობა: *აგროსასურსათო ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსი*
5. საერთ. ვაჭრობა: *უმსხვილესი აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი*
6. საერთ. ვაჭრობა: *აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი დსთ-სა და ევროკავშირში*
7. ბიუჯეტი: *სოფლის მეურნეობაზე გასაწევი ხარჯების წილი სამინისტროს ბიუჯეტში*
8. მელიორაცია: *წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობები*
9. ერთიანი აგროპროექტი (APMA)-ის ბიუჯეტი
10. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში
11. APMA-ს ახალი პროექტები 2019 წელს

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

მშპ (რეალური)

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში

(2012-2018 I-II)
(გამოთვლილი 2010 წლის ფასებში)



ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქსტატი ISET

FDI აგრო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში

(2009-2018 I-II)



ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქსტატი ISET

ექსპორტ-იმპორტი

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტი და სავაჭრო ბალანსი
(2009-2018 I-II)



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ISET

ექსპორტ-იმპორტი

აგროსასურსათო ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსი
(2013-2018 I-II)



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ISET-ის გამოთვლა

ISET

ექსპორტ-იმპორტი

უმსხვილესი აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი
(2012-2018 I-II)



ReforMeter Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ISET

ექსპორტ-იმპორტი

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი დსთ-სა და ევროკავშირში
(2009-2018 I-II)



ReforMeter Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ISET

ბიუჯეტი

სოფლის მეურნეობაზე გასაწევი ხარჯების წილი სამინისტროს ბიუჯეტში

(აქტივობების მიხედვით ჩაშლილი, 2018-2019)



ReforMeter Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2019 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი

ISET

მელიორაცია

წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობები

(2012-2018 I-II)



ReforMeter Tracking Progress - One Reform at a Time

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ISET

ბიუჯეტი - APMA

ერთიანი აგროპროექტი (APMA)

(პროექტების მიხედვით ჩაშლილი, 2018-2019)



ReforMeter
Tracking Progress · One Reform at a Time

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2019 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი

ISET

აგრო დაკრედიტება

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში

(2013-2018 I-II)





ReforMeter
Tracking Progress · One Reform at a Time

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ISET

ერთიანი აგროპროექტი

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე სახელმწიფო პროექტები: მიღებული და საპროგნოზო შედეგები

2013 წლიდან სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემდეგი პროექტები ხორციელდება:

	პროექტი	დაწყების წელი	სტატუსი
1	შეღავათიანი აგროკრედიტი	2013	მიმდინარე
2	გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი *	2014	შეჩერებული
3	აწარმოე საქართველოში - სოფლის მეურნეობის მიმართულება	2014	მიმდინარე
4	აგროდაზღვევა	2014	მიმდინარე
5	დანერგე მომავალი	2015	მიმდინარე
6	შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი **	2016	შეჩერებული
7	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	2016	მიმდინარე
8	აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ***	2016	შეჩერებული
9	ახალგაზრდა მეწარმე	2018	მიმდინარე

** 2017 წ. აგვისტოდან შეჩერებულია განაცხადების მიღება.*
*** 2018 წ. მარტიდან შეჩერებულია განაცხადების მიღება.*
**** 2018 წ. ნოემბრიდან შეჩერებულია განაცხადების მიღება.*

შეღავათიანი აგროკრედიტი (2013 წ. მარტი - მიმდინარე)

კრედიტის სიდიდე: 7,000 – 5,000,000 ლარი

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და ხანგრძლივობა: 8-11 %, 66 თვემდე)





პერიოდი: 2013 წ. მარტი - 2018 წ. აგვისტო	სიდიდე
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა (ლარი)	1,727,880,027
სააგენტოს თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	219,718,018
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა	32,348
უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა	19,186

მონაცემი	სულ	გადამხდელად რეგისტრირებული	%
ბენეფიციართა რაოდენობა	19,186	13,010	68
გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	1,727,880,027	1,571,570,903	91
კრედიტის საშუალო სიდიდე (ლარი)	90,059	120,797	-
სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	219,718,018	207,418,906	94

2013-2017 წლებში **ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამურად გადახდილია 620.9 მლნ. ლარი.**

2012 წელთან შედარებით 2013-2017 წლებში **ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია** თითოეულ წელს საშუალოდ 26.8 მლნ. ლარით მეტი (ჯამურად - 133.8 მლნ. ლარით მეტი).

1 ლარი სახელმწიფო თანადაფინანსებით გენერირებულია 0.61 ლარი გადასახადი.

ერთიანი აგროპროექტი

შეღავათიანი აგროკრედიტი (2013 წ. მარტი - მიმდინარე)

კრედიტის სიდიდე: 7,000 – 5,000,000 ლარი

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და ხანგრძლივობა: 8-11 %, 66 თვემდე)

გაცემული კრედიტი და სახელმწიფო თანადაფინანსება (მლნ. ლარი)



ბენეფიციართა ერთობლივი შემოსავალი (მლნ. ლარი)



პერიოდი: 2013 წ. მარტი - 2018 წ. აგვისტო	სიდიდე
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა (ლარი)	1,727,880,027
სააგენტოს თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	219,718,018
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა	32,348
უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა	19,186

2017 წელს გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული **ბენეფიციარების ერთობლივი შემოსავალი 2.20-ჯერ აღემატება 2012 წლის** სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა **ერთობლივ შემოსავალს (120 %-იანი ზრდა)**

მონაცემი	სულ	გადამხდელად რეგისტრირებული	%
ბენეფიციართა რაოდენობა	19,186	13,010	68
გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	1,727,880,027	1,571,570,903	91
კრედიტის საშუალო სიდიდე (ლარი)	90,059	120,797	-
სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	219,718,018	207,418,906	94

შეღავათიანი აგროკრედიტი (2013 წ. მარტი - მიმდინარე)

კრედიტის სიდიდე: 7,000 – 5,000,000 ლარი

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და ხანგრძლივობა: 8-11 %, 66 თვემდე)





საწარმოს ტიპი	საწარმოთა რაოდენობა (2018 წ. აგვისტო)	დასაქმებულთა რაოდენობა (2018 წ. აგვისტო)
პირველადი საწარმო	11,737	9,169
გადამამუშავებელი საწარმო	493	5,560
ინფრასტრუქტურული საწარმო	635	2,780
ტექნიკა და იმპლემენტი	145	574
სულ	**13,010**	**18,083**

''შეღავათიანი აგროკრედიტის'' ამუშავებიდან 2018 წ. აგვისტოს ჩათვლით **შექმნილია 9,000-მდე სამუშაო ადგილი. 1 სამუშაო ადგილის შექმნაზე დახარჯულია დაახლ. 23,000 ლარი თანხა** სახელმწიფო თანადაფინანსების სახით.

დასაქმებულთა რაოდენობა რეალურად მეტია: მცირე საწარმოთა და პირველადი წარმოების შემთხვევაში ხშირად მეწარმე საკუთარ, ოჯახის წევრთა და დაქირავებულ (განსაკუთრებით - სეზონურ) პირთა ნაწილზე გაცემულ შრომის ანაზღაურებას დეკლარირებას არ უკეთებს. ნაწილობრივ ეს ეხება ასევე საშუალო საწარმოებს და გადამამუშავებელ საწარმოებს.

ერთიანი აგროპროექტი

შეღავათიანი აგროკრედიტი (2013 წ. მარტი - მიმდინარე)

კრედიტის სიდიდე: 7,000 – 5,000,000 ლარი

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და ხანგრძლივობა: 8-11 %, 66 თვემდე)

გაცემული კრედიტი და სახელმწიფო თანადაფინანსება (მლნ. ლარი)



მონაცემი	სულ	გადამხდელად რეგისტრირებული	%
ბენეფიციართა რაოდენობა	19,186	13,010	68
გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	1,727,880,027	1,571,570,903	91
კრედიტის საშუალო სიდიდე (ლარი)	90,059	120,797	-
სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	219,718,018	207,418,906	94

კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტები (1,000 ლარი) (წყარო: სებ)

თარიღი	საკრედიტო პორტფელი (ათასი ლარი)	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა: გაცემული სესხების პორტფელი (ათასი ლარი)	წილი სრულ საკრედიტო პორტფელში (%)
01/01/2011	5,946,310	47,219	0.79
01/01/2012	7,449,543	59,868	0.80
01/01/2013	8,372,207	59,206	0.71
01/03/2013	8,333,833	56,533	0.68
01/01/2014	10,115,168	153,711	1.52
01/01/2015	12,478,505	281,454	2.26
01/01/2016	15,509,651	312,677	2.02
01/01/2017	18,512,300	377,293	2.04
01/01/2018	21,761,898	393,783	1.81
01/10/2018	24,422,290	397,072	1.63

2013 წლის მარტიდან 2018 წლის ოქტომბრამდე მთლიანი საკრედიტო პორტფელი გაზრდილია 193 %-ით, ხოლო **სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და თევზჭერის დარგებში გაცემული კრედიტების პორტფელი გაზრდილია 602 %-ით.**

ერთიანი აგროპროექტი

შეღავათიანი აგროკრედიტი (2013 წ. მარტი - მიმდინარე)

კრედიტის სიდიდე: 7,000 – 5,000,000 ლარი

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და ხანგრძლივობა: 8-11 %, 66 თვემდე)

გაცემული კრედიტი და სახელმწიფო თანადაფინანსება (მლნ. ლარი)



გაცემული კრედიტები დარგების მიხედვით (მლნ. ლარი და %)



მონაცემი	სულ	გადამხდელად რეგისტრირებული	%
ბენეფიციართა რაოდენობა	19,186	13,010	68
გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	1,727,880,027	1,571,570,903	91
კრედიტის საშუალო სიდიდე (ლარი)	90,059	120,797	-
სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	219,718,018	207,418,906	94

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (2014 წ. – 2017 წ. 08)

გრანტი: 40 %, Max. 600,000 ლარი (60 % ზოგიერთი რეგიონისთვის)

შეღავათიანი აგროკრედიტი: Max. 50 % (11 %)

ბენეფიციარის თანამონაწილეობა: Min. 10 %





დარგი	საწარმო	საპროგნოზო სამუშაო ადგილი (სეზონურის ჩათვლით)	ერთ საწარმოში სამუშაო ადგილების საშუალო რაოდენობა
ხილი	17	401	24
თხილი	8	752	94
რძე	7	94	13
კომბ.საკვები, ზეთი, სოკო	3	122	41
ხორცი	3	53	18
დაფნა	2	50	25
ჩაი სანელებლები	2	32	16
ღვინო	2	18	9
თევზი	1	13	13
ჯამი	**45**	**1,535**	**34**

2018 წ. ნოემბრის მდგომარეობით ამუშავებულია 34 საწარმო. 45-ვე საწარმო **სრული დატვირთვით ამუშავდება 2020 წელს.**

მაჩვენებლებში **არაა გათვალისწინებული წარმოების ზრდა** და მოცემულია გაყიდვების დაგეგმილი საშუალო საპროგნოზო სიდიდეები.

ფაქტობრივი მონაცემების წყაროა სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტოს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, ხოლო საპროგნოზო მონაცემები აღებულია საგრანტო კონკურსზე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებიდან.

ერთიანი აგროპროექტი

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (2014 წ. – 2018 წ. 03)

გრანტი: 40 %, Max. 600,000 ლარი (60 % ზოგიერთი რეგიონისთვის)

შეღავათიანი აგროკრედიტი: Max. 50 % (11 %)

ბენეფიციარის თანამონაწილეობა: Min. 10 %

ინვესტიციები

სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა **ერთმა ლარმა 2.07 ლარი ინვესტიცია მოიზიდა.**

სამუშაო ადგილები

45 საწარმო 1,535 ადამიანს დაასაქმებს სეზონურად დასაქმებულების ჩათვლით. მათი წლიური ანაზღაურება 6.9 მლნ. ლარი იქნება.
ერთი ლარი გრანტი ქმნის 0.30 ლარის ოდენობით წლიურ სახელფასო თანხას.

ნედლეული

45 საწარმო წლიურად 75.2 ლარის ღირებულების ადგილობრივ ნედლეულს შეისყიდის. **სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ერთი ლარი ადგილობრივ ასეულობით მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობას წლიურად 3.28 ლარის შემოსავალს მოუტანს.**

აგროპროდუქცია

45 საწარმო ქვეყაში დამატებით შექმნის 100 მლნ. ლარამდე სარეალიზაციო ღირებულების 16,000 ტონა აგროპროდუქციას. **1 ლარი გრანტი ქმნის ყოველწლიურად 0.70 კგ. აგროპროდუქციას.**

დამატებული ღირებულება

სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებული **ერთი ლარი წლიურად 0.67 ლარის დამატებულ ღირებულებას შექმნის.**

გადასახადები

სხვადასხვა დაშვებით ქონების, მოგების და საშემოსავლო გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტი ბენეფიციარი საწარმოებისგან წლიურად 3.3 მლნ. ლარს მიიღებს. **სახელმწიფო გრანტის სახით გაცემული 1 ლარი ყოველწლიურად 0.14 ლარი გადასახადის გენერირებას იწვევს.**

ერთიანი აგროპროექტი

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (2016 წ. – 2018 წ. 08)

გრანტი: 40 %, Max. 600,000 ლარი | **შეღავათიანი აგროკრედიტი**: Max. 50 % (11 %) | **ბენეფიციარის თანამონაწილეობა**: Min. 10 % | **ტევადობა**: Min. 200 ტონა

ინვესტიციების სტრუქტურა (მლნ. ლარი), 2018 წ. ნოემბერი



შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტში სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით **ინვესტირებულმა ერთმა ლარმა გრანტმა მოიზიდა 1.51 ლარი ინვესტიცია.**

შემნახველი საწარმოს ტიპი	რაოდენობა	ჯამური ტევადობა (ტონა)
ხილის შემნახველი	6	4,000
ხილ-ბოსტნეულის შემნახველი	5	3,800
ბოსტნეულის შემნახველი	2	2,600
კაკლოვანი კულტურების შემნახველი	1	1,000
ჯამი	**14**	**11,400**

რეგიონი	დარგი	შემნახველი საწარმოების რაოდენობა
შიდა ქართლი	ხილისა და ხილ-ბოსტნეულის შენახვა	6
კახეთი	ხილ-ბოსტნეულის შენახვა	3
მცხეთა-მთიანეთი	ხილის შენახვა	2
ქვემო ქართლი	ბოსტნეულის შენახვა	2
სამეგრელო	თხილის შენახვა	1
სულ		**14**

ერთიანი აგროპროექტი

1,011 საწარმოს მიერ გადახდილი გადასახადები (2013-2017 წ.წ.)

- 2013-2017 წლებში ''შეღავათიანი აგროკრედიტის'' და ''შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის'' ფარგლებში **დაფინანსდა 166 ახალი საწარმო** - ითვლება მხოლოდ ახალი საწარმოები 100,000 ლარზე მეტი აგროკრედიტით (აქედან 29 ახალი საწარმო - შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში). ამ ახალი საწარმოების **თანადაფინანსებამ შეადგინა 60 მლნ. ლარი** (აქედან - 15 მლნ. ლარი გრანტის სახით).

- ახალ საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი დამატებითი თანხის დათვლისას **საწარმოთა 2015-2017 წ.წ. გადახდილი გადასახადების სიდიდეები შედარდა 2014 წელთან** (ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2013-2014 წლებში საწარმოების უმეტესობა არ იყო სრულად ამოქმედებული და მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა წინა წლებში დაფიქსირებული მონაცემებისგან).

წელი/პერიოდი	გადაიარაღებული საწარმოები: სახელმწიფო თანადაფინანსება (აკუმულირებული) (ლარი)	საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შეტანილი გადასახადები (აკუმულირებული) (ლარი)
2013	1,679,507	2,879,208
2013-2014	13,582,174	11,996,451
2013-2015	34,575,781	22,728,335
2013-2016	54,551,506	26,649,828
2013-2017	74,255,073	31,487,010

წელი/პერიოდი	ახალი საწარმოები: სახელმწიფო თანადაფინანსება (აკუმულირებული) (ლარი)	საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შეტანილი გადასახადები (აკუმულირებული) (ლარი)
2013	1,024,942	-
2013-2014	12,068,185	-
2013-2015	31,178,939	9,831,591
2013-2016	48,294,590	21,650,377
2013-2017	60,318,959	41,457,998

166 ახალი საწარმოს სახელმწიფო თანადაფინანსების შედეგი ბიუჯეტში შეტანილ გადასახადებზე აისახა 2015 წლიდან და შეადგინა 41 მლნ. ლარით მეტი.
თანადაფინანსების ერთმა ლარმა მოახდინა 0.69 ლარი გადასახადის გენერირება.

- ამავე პროექტების ფარგლებში **გაფართოვდა/გადაიარაღდა 845 არსებული საწარმო** - ითვლება მხოლოდ საწარმოები 100,000 ლარზე მეტი აგროკრედიტით. ამ საწარმოებისთვის **კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებამ შეადგინა 74 მლნ. ლარი**.

- 2013-2017 წლებში აღნიშნულმა საწარმოებმა ბიუჯეტში გადასახადების სახით გადაიხადეს 31 მლნ. ლარით მეტი თანხა.
თანადაფინანსების ერთმა ლარმა მოახდინა 0.42 ლარი გადასახადის გენერირება.

ჯამურად 1,011 საწარმოში (166 ახალი, 845 გაფართოებული/გადაიარაღებული) სახელმწიფოს მიერ 2013-2017 წლებში ინვესტირებულია 134,574,032 ლარი; ამ საწარმოებმა სახელმწიფო დაფინანსებამდე პერიოდებთან შედარებით 72,945,008 ლარით მეტი გადასახადი გადაიხადეს - **სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყოველ 1 ლარის თანადაფინანსებაზე ბიუჯეტში გადასახადების სახით დაფინანსებულმა საწარმოებმა უკვე გადაიხადეს 0.54 ლარი.**

პროექტი ''დანერგე მომავალი'' (2015 წ. – მიმდინარე)

ბაღების ფართობი: 1-20 ჰა

ბაღებისთვის ნერგები: 70 %, **სარწყავი სისტემა**: 50 % (Max. 2,500 ლარი/ჰა)

სანერგე მეურნეობებისთვის: 50 % (Max. 150,000 ლარი)



1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით მოზიდულია 0.83 ლარი ინვესტიცია.

2015 წლიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში სულ **გაშენებულია ან გაშენების პროცესშია 5,569 ჰა ფართობის 898 ბაღი**.

კულტურა	ფართობი (ჰა)	სრული ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინასნება (ლარი)
კაკალი	2,063	16,559,717	9,765,893
ვაშლი	869	13,731,628	7,035,807
ნუში	659	4,337,225	2,306,440
თხილი	586	2,145,814	1,122,827
ზეთისხილი	272	2,125,009	1,335,263
ქლიავი	224	1,944,930	1,029,840
ლურჯი მოცვი	191	4,992,060	2,736,253
ჟოლო	119	1,872,889	1,070,820
სხვა	586	5,941,260	2,979,369
ჯამი	**5,569**	**53,650,532**	**29,382,511**

წელი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მოსავალი (ტონა)	5,748	16,122	28,717	40,840	49,457	56,272	60,112
შემოსავალი (მლნ. ლარი)	6.9	20.2	41.4	64.3	83.8	101.3	111.4

ერთი ლარი სახელმწიფო თანადაფინანსება ქმნის (ბაღების სრული მოსავლიანობის დაწყებიდან)
ყოველწლიურად 2.05 კგ. აგროპროდუქციას
და ფერმერებს უჩენს ყოველწლიურად 3.80 ლარ შემოსავალს.

- გარდა ბაღებისა, **სანერგე მეურნეობების კომპონენტში** 2015 წლიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში სულ **შექმნილია წლიურად 100,000 ნერგის წარმადობის 2 სანერგე მეურნეობა** ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტებში.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი (2016 წ. – 2018 წ. 11)

გრანტი: 40 %, Max. $ 15,000 (კოოპერატივებისთვის - $ 150,000) პირველადი საწარმოებისთვის, Max. $ 100,000 გადამამუშავებელი საწარმოებისთვის

ინვესტიციების სტრუქტურა (მლნ. ლარი)



2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში **სულ განხორციელებულია 337 პროექტი** (331 - პირველადი წარმოების კომპონენტში და 6 - შემნახველი/გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ **ინვესტირებულმა ერთმა ლარმა გრანტმა მოიზიდა 1.53 ლარი ინვესტიცია.**

მიზნობრიობა	პროექტების რაოდენობა
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	203
სათბურის მოწყობა/გადაიარაღება	40
მეფუტკრეობის ინვენტარი	32
დანადგარების შეძენა/რემონტი	5
წვეთოვანი სარწყავი სისტემა	31
მრავალწლიანი ბაღის გაშენება/რეაბილიტაცია	18
მოსავლის პირველადი დასაწყობება	6
სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები	2
ჯამი	**337**

საპროგნოზო შედეგები პირველადი წარმოების კომპონენტში:

- სათბურებიდან ყოველწლიურად იწარმოება 1.7 მლნ. ლარი ღირებულების პროდუქცია
- ყოველწლიურად იწარმოება 2.5 მლნ. ლარი ღირებულების თაფლი
- სამაცივრე მეურნეობები ყოველწლიურად მიიღებენ 66,250 ლარ შემოსავალს
- ფერმერები ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავებაზე 1.8 მლნ. ლარს დაზოგავენ

საპროგნოზო შედეგები გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტში:

- დასაქმდება 280 ადამიანი (4,200 ლარი 1 სამუშაო ადგილი)
- ხელფასების სახით გაიცემა 1 მლნ. ლარი
- შეიქმნება 3 მლნ. ლარის ღირებულების პროდუქცია

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

ერთიანი აგროპროექტი

პროექტი ''ახალგაზრდა მეწარმე'' (2018 წ. – მიმდინარე)

გრანტი: 40 %, Max. 60,000 ლარი

პროექტის საინვესტიციო ღირებულება: Min. 10,000 ლარი

ბენეფიციარების ასაკი: მამაკაცი - 18-35 წ., ქალი - 18-40 წ.

ინვესტიციების სტრუქტურა (მლნ. ლარი)



2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში **სულ განხორციელებულია 61 პროექტი** (331 - პირველადი წარმოების კომპონენტში და 6 - შემნახველი/გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ **ინვესტირებულმა ერთმა ლარმა გრანტმა მოიზიდა 1.54 ლარი ინვესტიცია.**

მიზნობრიობა	პროექტების რაოდენობა
პირველადი წარმოება	26
გადამამუშავებელი წარმოება	22
მომსახურება	12
შენახვა	1
სულ	**61**

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის სიდიდე (ლარი)
კახეთი	31	3,636,100
მცხეთა-მთიანეთი	7	989,385
სამეგრელო	5	748,159
სამცხე-ჯავახეთი	4	588,747
გურია	4	430,340
შიდა ქართლი	4	359,695
აჭარა	2	195,413
რაჭა-ლეჩხუმი	2	75,200
იმერეთი	1	51,423
ქვემო ქართლი	1	43,570
სულ	**61**	**7,118,033**

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ხორციელდება დონორი ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით.

ერთიანი აგროპროექტი

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა ''ქართული ჩაი'' (2016 წ. – მიმდინარე)

სახელმწიფო თანადაფინანსება: 60-90 %, Max. 2,500 ლარი/ჰა + ჩაის პირველადი დამუშავების აპარატურა-დანადგარები, მოწყობილობები, ინვენტარი



სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა ერთმა ლარმა მოიზიდა 0.44 ლარი ინვესტიცია.
(ჯამურ ინვესტიციაში შედის მხოლოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის საჭირო ინვესტიციები, მასში არაა შეტანილი ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შემოღობვა, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, სტანდარტების დანერგვა...).

2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში **პროექტების რაოდენობაა 39. რეაბილიტირებულია ან რეაბილიტაციის პროცესშია 907 ჰა ფართობი.**

მზა პროდუქციის (გადამუშავებული ჩაის) მასა (კგ./წელი)	მზა პროდუქციის სარეალიზაციო ღირებულება (ლარი/წელი)
1,290,000	**38,700,000**

დასაქმებულთა რაოდენობა 310 ადამიანი იქნება.
თითო პლანტაციაშია დასაქმებულთა რაოდენობა სეზონურად 10-დან 40 ადამიანამდეა, **სულ სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა იქნება 620 ადამიანი.**
საშუალო ხელფასი საწარმოში დასაქმებულთათვის საშუალო 400 ლარი იქნება.

1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით ყოველწლიურად წარმოებული იქნება 0.82 კგ. ჩაის პროდუქტი და საწარმოები ყოველწლიურად მიიღებენ 24.5 ლარ შემოსავალს.

აგროდაზღვევა (2014 წ. – მიმდინარე)

ფართობი: Max. 5 ჰა (Max. 30 ჰა - მარცვლეული), Max. 50,000 ლარი

თანადაფინანსება: 70 % (50 % ვაზისთვის)

სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, საშემოდგომო ყინვა

წელი	პოლისების რაოდენობა	დაზღვეული ფართობი, ჰა
2014	21,056	18,723
2015	7,634	4,944
2016	18,795	15,472
2017	21,394	20,718
2018.08	11,789	11,353
სულ	**80,668**	**71,210**

წელი	ჯამური სადაზღვევო პრემია (ლარი)	დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი ჯამურ პრემიაში (%)
2014	12,586,739	779,693	11,800,629	94%
2015	3,444,300	1,442,672	1,948,980	57%
2016	11,981,874	3,677,059	8,223,721	69%
2017	11,649,283	4,238,293	7,406,244	64%
2018.08	6,991,206	2,612,037	4,379,169	63%
სულ	**46,653,402**	**12,749,754**	**33,758,743**	**72%**

წელი	ანაზღაურება (ლარი)	ანაზღაურება / სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემია (%)	ანაზღაურებული ზარალი / ჯამური პრემია (%)
2014	11,296,414	95.7	89.7
2015	2,904,487	149.0	84.3
2016	6,211,368	75.5	51.8
2017	9,284,934	125.4	79.7
სულ	**29,697,203**	**101.1**	**74.9**



პროგრამაში სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობა მაღალია - სახელმწიფოს მიერ გადახდილ 1 ლარ სადაზღვევო პრემიაზე მოდის 1 ლარზე მეტი სადაზღვევო ანაზღაურება. ასევე, **სახელმწიფომ წვლილი შეიტანა სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებაში** (შემოსავალი, გამოცდილება, სპეციალისტების ჩამოყალიბება...). **სახელმწიფომ კერძო სექტორს ეფექტურად გადასცა აგროდაზღვევის ადმინისტრირების ფუნქცია** (სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირების შემთხვევაში სათანადო ხარჯები მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა) - **სადაზღვევო კომპანიებს ანაზღაურების სახით გაცემული აქვთ მიღებული პრემიის 75 %, რაც სადაზღვევო პრაქტიკისთვის ზომიერი მაჩვენებელია** (დარჩენილი 25 % მოიცავს აგენტთა ანაზღაურებებს, ადმინისტრირების ხარჯებს და სადაზღვევო კომპანიების მოგებას).

ერთიანი აგროპროექტი